გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ ქ. გარდაბანში აღმაშენებლის ქ. №36-ში მდებარე შენობის სარემონტო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადების სახელმწიფო შესყიდვის კონკურსი №378

საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი №2

ქ. გარდაბანი 3 აპრილი 2012 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ხანახმედ გარიბოვი – საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე;

მანუჩარ ჯოხაძე- კომისიის წევრი;
ნიკოლოზ დუჩიძე – კომისიის წევრი;

ნოდარ ბერუაშვილი – კომისიის წევრი;

რამაზ ბუდაღაშვილი – კომისიის წევრი;

ოთარ გავაშელიშვილი – კომისიის წევრი;
აზა ონიანი – კომისიის წევრი;

დღის წესრიგი:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ ქ. გარდაბანში აღმაშენებლის ქ. №36-ში მდებარე შენობის სარემონტო სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ №378 კონკურსზე კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების პაკეტის გახსნა/განხილვა და გამარჯვებულად გამოვლენა.

განხილვა:

საკონკურსო კომისიის წევრის ნიკოლოზ დუჩიძის გამოსვლა, რომელმაც კომისიის სხდომის დამსწრე წევრებს მოახსენა, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ ქ. გარდაბანში აღმაშენებლის ქ. №36-ში მდებარე შენობის სარემონტო სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ №378 კონკურსზე საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ერთმა მონაწილემ 2012 წლის 23 მარტს 14:10 საათზე:

1. შპს „გარდაბანპროექტი", საკონკურსო წინადადების ფასი 2134 ლარი.

შპს „გარდაბანპროექტი"-ს მიერ წარმოდგენილ საკონკურსო დოკუმენტაციაში აღმოჩნდა, რომ საგადახდო დავალებაში არ არის მითითებული შპს „გარდაბანპროექტი"-ს საიდენტიფიკაციო კოდი, ხოლო კონკურსანტის მიერ წარმოდგენილ სს „ლიბერთი ბანკი"-ს მიერ გაცემულ ცნობაში №12003/20 აღნიშნულია, რომ გადარიცხვისას ტექნიკური ხარვეზით ამობეჭდილ საბუთში არ დაფიქსირდა გადამხდელის საიდენტიფიკაციო კოდი (226529209), თუმცა გადარიცხვა შესრულდა უშეცდომოდ და გადარიცხვა წავიდა საიდენტიფიკაციო კოდით. ასევე ცხობას თან ახლავს საგადახდო დავალება გაცემული იმავე რიცხვით, რომელშიც დაფიქსირებულია კონკურსანტის საიდენტიფიკაციო კოდი.

კომისიამ დაადგინა:

1. შპს „გარდაბანპროექტი"-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია შეესაბამება კონკურსით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით გამარჯვებულად გამოვლინდა №378 კონკურსზე შპს „გარდაბანპროექტი".

3. დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს სახელმწიფო შესყიდვების სესახებ ხელშეკრულების მომზადება.

4. აღნიშნული საკონკურსო კომისიის ოქმი და დოკუმენტაცია გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული ფოსტის contest@procurement.gov.ge –ის მეშვეობით.

კომისიის თავმჯდომარე: ხანახმედ ბარიბოვი

კომისიის წევრები: მანუჩარ ჯოხაძე

ნიკოლოზ დუჩიძე

აზა ონიანი

ნოდარ ბერუაშვილი

რამაზ ბუდაღაშვილი

ოთარ გავაშელიშვილი